საქართველოს
ეროვნული პლატფორმა

აღმოსავლეთ პარტნიორობის
სამოქალაქო საზოგადოების ფორუმი

აღმოსავლეთ პარტნორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნული პლატფორმა მიესალმება „9 პირობის/დათქმის“ შესრულების ახალ ეტაპზე გადასვლას.

შესასრულებელი რეკომენდაციების ირგლივ ეროვნულმა პლატფორმამ საქართველოს პარლამენტის უმრავლესობასა და ოპოზიციის წარმომადგენლებთან ერთად 2023 წლის დეკემბრში გამართულ ერთობლივ კონფერენციაზე იმსჯელა და მოელის, რომ პარლამენტი შექმნის ეფექტურ სამუშაო ფორმატებს, რომლებშიც უზრუნველყოფილი იქნება სამოქალაქო სექტორის ფართო ჩართულობა.
საქართველოს ევროპისკენ მიმავალ გზაზე მიმდინარე წელი არის შესაძლებლობა, რომელიც აუცილებლად უნდა იქნას გამოყენებული იმისათვის, რომ 2024 წლის ბოლოს ქვეყანა გადავიდეს გაწევრიანების მოლაპარაკების ეტაპზე.

„9 პირობა/დათქმისთან“ დაკავშირებით საქართველოს ეროვნული პლატფორმა აქტიურად მუშაობდა და კვლავ განაგრძობს მუშაობას კონკრეტულ წინადადებებსა და ინიციატივებზე. მოვუწოდებთ პარლამენტს სამუშაო პროცესი წარმართოს ინკლიუზიურობის პრინციპის დაცვით და უზრუნველყოს სამოქალაქო სექტორის ფართო ჩართულობა.